„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 აპრილის N33/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

თბილისი 2023 წლის 28 აპრილი

თსუ რექტორის 2023 წლის 21 მარტის N61/01-01 და N 62/01-01 ბრძანებების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის10 აპრილის N33/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ-პროფესორი) - მდივანი
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)-წევრი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ-პროფესორი)-წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული ორ კათედრაზე:

1. კლინიკური ქირურგიის კათედრა I

ასისტენტ-პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთი შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

2. ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთი შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა კონკურსანტების საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1), კონკურსანტების საბუთები განხილულ იქნა ცალ-ცალკე; შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმების შევსებით. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტები დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 28 აპრილს 13:00 საათიდან - 14:00 საათამდე - წარმოდგენილი კონკურსანტების გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტებს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

28 აპრილს 13 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>13:00 საათიდან -13:30 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორმა - შალვა გიუაშვილმა და მედიცინის დოქტორმა აკაკი აბუთიძემ; გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

იმავე დღეს 14 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 10 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა - თსუ მედიცინის

ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრის I ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ შალვა გიუაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ აკაკი აბუთიძის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი შალვა გიუაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის I ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი აკაკი აბუთიძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ბატონი შალვა და ბატონი აკაკი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ სტუდენტებთან: უწევდნენ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო შრომების მომზადებაში; ასევე, მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს კლინიკური უნარების ათვისებაში. კომისიის აზრით, მედიცინის დოქტორი შალვა გიუაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრის I ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ა") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას; მედიცინის დოქტორი აკაკი აბუთიძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

კომისიის წევრების ხელმოწერა:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)